პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 184 (6239)

1978 წ. 19 სექტემბერი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მესამე დღე

## საიდა გუმბას გამარჯვება

ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მძლეოსანთა ასპარეზობის მესამე დღეს ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონზე კიდევ 18 სახეობაში გამოვლინდნენ ჩემპიონები და პრიზიორები.

ამ უკომპრომისო, დაძაბულ პაექრობათა შორის მაყურებელთა განსაკუთრებულ ინტერესს, ცხადია, შუბის მტყორცნელ ქალთა ძირითადი შეჯიბრება იწვევდა. სწორედ აქ გამოდიოდა სპორტსმენი ჩვენი რესპუბლიკიდან, რომელმაც უკანასკნელ ხანს შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია. საიდა გუმბამ სულ ახლახან დაამყარა საქართველოს რეკორდი (60,26 მ), ხოლო ამ ჩემპიონატზე, უკვე წინასწარი შეჯიბრებისას, შუბი 59,90 მ-ზე ტყორცნა და საგრძნობლად ჩამოიტოვა ყველა მეტოქე.

და აი, ძირითადი შეჯიბრება. იმ დროს, როდესაც წყდება ქვეყნის უძლიერესი შუბის მტყორცნელის სახელის ბედი, სულ სხვაა ბრძოლის სიმძაფრე. შესაბამისად იზრდება დაძაბულობა, რაც უთუოდ საბოლოო შედეგზეც მოქმედებს...

პირველი ცდა, თითქოს ამ სიტყვების დასტურად, მაღალი შედეგიანობით ნამდვილად არ გამოირჩეოდა — მხოლოდ ლიტველმა ზიტა იანკუნაიტემ შეძლო შუბის გაგზავნა 54 მეტრს მიღმა. დანარჩენ მონაწილეთა, მათ შორის ს. გუმბას ცდა, უფრო მოკრძალებული შედეგებით აღინიშნა.

მაგრამ პირველი მღელვარება თანდათან ცხრება, იარაღიც უფრო მოხერხებულად ერგება სპორტსმენის ხელს. გამორბენი, ტყორცნა, მოლოდინის წამები... ელექტრონტაბლოზე ინთება ციფრები 59,04. შედეგი, რა თქმა უნდა, კარგია, თუმცა იგი ჩამორჩება დილით წინასწარ შეჯიბრებაზე ნაჩვენებს, რომ არაფერი ვთქვათ რესპუბლიკურ რეკორდზე. მაგრამ ეს ხომ დიდ ასპარეზობაზე ნაჩვენები შედეგია, თანამემამულეთა თვალწინ შესრულებული ტყორცნა.

მაგრამ წინ კიდევ ოთხი ცდაა და მრავალ სპორტულ ბრძოლაში გამობრძმედილი არა ერთი და ორი მოწინააღმდეგე...

ცდა ცდას მისდევს, სპორტსმენი სპორტსმენს ენაცვლება, მაგრამ შუბი „ფეხს ითრევს", არა და არ მიფრინავს შორს. ლიტველი იანკუნაიტეს მიერ ნატყორცნი იარაღი (იგი ყველაზე ახლოს ეშვება გუმბას მიერ ნაჩვენებ შედეგთან) მხოლოდ 57,64 მეტრს აღწევს, ლენინგრადელი ნინა ნაკონეჩნაია საუკეთესო ცდა (56,88) კი ამ შედეგსაც ჩამორჩება და მხოლოდ III ადგილს აძლევს მის ავტორს.

1978 წლის ჩემპიონატში გამარჯვებულის სახელი კი ჩვენს თანამემამულეს საიდა გუმბას წილხვდა. დაე, ეს დიდი წარმატება ამ ნიჭიერი სპორტსმენის მომავალ გამარჯვებათა საწინდარი ყოფილიყოს იმ ასპარეზზე, რომელსაც ოლიმპიური ჰქვია...

ა. ბარქაია.



●

გუშინ საქართველოს სპორტკომიტეტში საბჭოთა კავშირის 1978 წლის ჩემპიონატში გამარჯვებულ საიდა გუმბასა და მის მწვრთნელს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს ილია გიგაურს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ დ. პერტენავამ, საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტის მძლეოსნობის სამმართველოს უფროსმა ა. ეფიმენკომ, საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა ნაკრები გუნდის მწვრთნელებმა, საქართველოს სპორტკომიტეტის თანამშრომლებმა.

გამოცხადდა, რომ საიდა გუმბა შეყვანილია საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა ნაკრები გუნდის შემადგენლობაში, ჩვენი ქვეყნის 1978 წლის ჩემპიონატში მიღწეული წარმატებისთვის ს. გუმბასა და ი. გიგაურის გვარები შეტანილია საქართველოს სპორტკომიტეტის საპატიო წიგნში.

* * *

სურათზე: ს. გუმბა ასპარეზობისას.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## „მათი გულშემატკივარი ვარ!"

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ვ. ბერიშვილი ტაშკენტიდან გვატყობინებს:

●

ტაშკენტი. ტიმირიაზევის — 1. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეშვიდე საერთო საცხოვრებელი. შენობის თავზე საქართველოს დროშა ფრიალებს, ფასადი კი სპარტაკიადის ემბლემით, ლოზუნგებითა და პლაკატებითაა აჭრელებული. „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!" „მხურვალე უზბეკური სალამი ძვირფას ქართველ სტუმრებს!" „წარმატებებს გისურვებთ მეგობრებო!"

— გამარჯობა! — ამბობენ მოსულები.

— სალომ! — პასუხობენ დამხვდურები.

ეს ერთი სიტყვაც საკმარისია. ერთი სიტყვა და კეთილი ღიმილი. მასპინძლებზე აუგს მართლა ვერ იტყვი. აგერ ათ დღეზე მეტია ღიმილი არ შორდებათ სახიდან. არც სტუმრები რჩებიან ვალში.

განწყობილება. მასზე ბევრი რამაა დამოკიდებული. მითუმეტეს ხვალ საპასუხისმგებლო სტარტია. სწორედ ხვალ უნდა გადაწყდეს ყველაფერი. წლობით ვარჯიშობდნენ, შრომობდნენ, ოფლს ღვრიდნენ და აი, ნაყოფის მოძკის დროც დადგა. მწვრთნელები ბოლო დარიგებებს იძლევიან. აღსაზრდელები ყურადღებით უსმენენ, თან ჩუმჩუმად მკერდზე დაიცქირებიან, სადაც საქართველოს გერბია მიბნეული. „ო, როგორ დაამშვენებდა ოქროს მედალი!"... სპარტაკიადაში მონაწილეობა მართლაც რომ დიდი პასუხისმგებლობაა... საკუთარი თავი ვილას ახსოვს — თანატოლების, მშობლიური სკოლის, ქალაქისა და რესპუბლიკის ღირსება უნდა დაიცვან აქ, უზბეკეთის მიწაზე.

განწყობილებაზე რომ ბევრი რამაა დამოკიდებული, ეს მასპინძლებმაც კარგად იციან. ტაშკენტის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები მუდამ ნორჩ ქართველ მეგობრებთან ტრიალებენ. არა, ისინი შეფები არ არიან, უბრალოდ იქვე, იმავე კორპუსში ცხოვრობენ და „კარის მეზობლების" ყოველი წარმატება-წარუმატებლობა გულთან მიაქვთ.

კარიმ ბუაზისიც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტია, ალჟირიდანაა ჩამოსული სასწავლებლად. უკვე მეხუთე კურსზე სწავლობს, თან მძლეოსნობაში ვარჯიშობს. შარშან 1500 მეტრზე რბენაში სსრ კავშირის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულება.

— ადრეც ბევრჯერ მსმენია, რომ საბჭოთა კავშირში ფიზკულტურა და სპორტი დიდი პოპულარობით სარგებლობს, — ამბობს კარიმი, — ამაში ტაშკენტში ყოფნის პირველი დღეებიდანვე დავრწმუნდი, სადაც ბევრი საინტერესო სპორტული შეჯიბრება ვნახე, მაგრამ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა ყველაზე გრანდიოზულია მათ შორის. სპარტაკიადაში მონაწილე რამდენიმე ქართველი სპორტსმენი უკვე გავიცანი. ისინი გულღია და კეთილი ბიჭები არიან. მე მათი გულშემატკივარი ვარ.

— ძალიან სასიამოვნოა...

— კიდევ რაღაც უნდა გითხრათ: ერთი წლის შემდეგ სამშობლოში გავემგზავრები, როგორც სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, მაგრამ სპორტთან მეგობრობას არ გავწყვეტ, ვფიქრობ საბჭოთა კავშირში 1980 წელს ხელმეორედ ჩამოვალ. გულით მინდა ჩემი ქვეყნის სპორტული ღირსება დავიცვა მოსკოვის ოლიმპიადაზე.

მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე ოცნებობენ მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენები, ოლიმპიადის უმიზნებენ საკავშირო XV სპარტაკიადის მონაწილენიც, მაგრამ ეს უფრო ხვალინდელი საზრუნავია, დღეს მთავარი სპარტაკიადაა.

ერთნი მიემგზავრებიან, მეორენი ჩამოდიან. მოცურავეები, მოკრივეები, წყალში მხტომელები და მოფარიკავეები უკვე დაემშვიდობნენ ტაშკენტს. მედლები, ქულები, ადგილები გაინაწილეს და წავიდნენ. ესტაფეტა აკრობატებმა, მოჭადრაკეებმა და ხელბურთელებმა ჩაიბარეს.

(დასასრული მე-8 გვ.).

## ღირსეული მემკვიდრე

უკრაინის გუნდის ლიდერი ვ. ბორზოვი ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობს, მაგრამ ვ. იგნატენკოს სახით მას შესანიშნავი მემკვიდრე გამოუჩნდა: ევროპის ჩემპიონატის პრიზიორმა თბილისში მიმდინარე საკავშირო პირველობაში ჯერ 100 მეტრზე ასპარეზობაში მოიპოვა ოქროს მედალი, ხოლო კვირას 200 მეტრზე ფინალურ ტურნირში მეტოქეებს სტარტიდანვე წარმატების არავითარი იმედი არ დაუტოვა და უკანასკნელი მეტრები ფაქტიურად წამზომებთან ბრძოლაში გაატარა. მისი შედეგია 20,85 წამი, მაშინ, როცა მეორე და მესამე პრიზიორებმა, ლენინგრადელმა ი. ხაუმენკომ და ესტონეთის გუნდის წევრმა გ. ორგანოვმა ზუსტად ერთნაირი შედეგი (21,07) აჩვენეს. ხაუმენკო მეტოქეზე მკერდით წინ გამოჩნდა და ვერცხლის მედლის ბედიც მის სასარგებლოდ გადაწყდა.

ქალთა შორის ამავე დისტანციაზე პირველი და მეორე ადგილების მთავარ პრეტენდენტებად მოსკოველები, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები ვ. ანისიმოვა და ლ. მასლაკოვა ითვლებოდნენ. მაგრამ ბრინჯაოს მედალსაც თუ მოსკოველი მოიპოვებდა, ამას ბევრი არ ელოდა. მასლაკოვამ შედარებით იოლი გამარჯვებას მიაღწია (22,62), ანისიმოვამ 23,03 წამი აჩვენა, მესამე ადგილზე კი მათი თანაქალაქელი ვ. გალჩენკოვა გავიდა (23,86), რაც ამ სპორტსმენის დიდი წარმატებაა.

100 მეტრზე თარჯრბენშიც, ანისიმოვამ იმარჯვა, ოღონდ ლენინგრადელმა, საბჭოთა კავშირის რეკორდსმენმა ტ. ანისიმოვამ ნ. მორგულინასთან (რსფსრ) ბრძოლაში კინაღამ დაკარგა უძლიერესის ტიტული, მაგრამ ფოტოფინიშმა ანისიმოვას უპირატესობა დაადასტურა და ოქროს მედალიც მას გადაეცა. იგივე შედეგით — (12,83) ვერცხლის მედალი მორგულინას ერგო. III ადგილზე გავიდა ჩემპიონის თანაგუნდელი ვ. კომისოვა — 13,41.

შეიძლება ითქვას, ეს დღე ლენინგრადელებისთვის ყველაზე უხვმოსავლიანი გამოდგა: ის იყო 100 მეტრზე თარჯრბენში ამ ქალაქის წარმომადგენლებმა ორი მედალი მოიგეს, რომ ასეთივე დუბლი გააკეთეს ბირთვის მკვრელმა ვაჟებმა ა. ბარიშნიკოვმა და ე. მირონოვმა.

სიმაღლეზე მხტომელი ქალები მაინცდამაინც მაღალი შედეგებით ვერ დაიქადნიან. ცხადია, ჩემპიონის ს. ივანჩენკოს (რსფსრ) მაჩვენებელი (188 სმ) თავისთავად ცუდი როდია (იგი მოსკოველ გ. ფილატოვას საკავშირო რეკორდს 2 სანტიმეტრით ჩამორჩება), მაგრამ თუ მას იტალიელი ს. სიმეონის მსოფლიო მიღწევას (201 სმ) შევადარებთ, აშკარაა, აქ ბევრი რამ გასაკეთებელია.

ჩვენი ქვეყნის ახალ ჩემპიონს ცდა არ დაუკლია უფრო მაღლა გადამხტარიყო: მან საკავშირო რეკორდსაც გაბედულად შეუტია, მაგრამ ალბათ დაღლილობამ და თბილისის სიცხემ იმოქმედა, რომ მისი უკანასკნელი ცდები გაცუდდა. გ. ფილატოვას ვერცხლის მედალი ერგო — 186 სმ. ბრინჯაო მოიპოვა ვ. არხიმენკომ (ბელორუსია) — 184.

(დასასრული მე-2 გვ.).

### ჩოგბურთი

## დევისის თასზე

სსრ კავშირის ჩოგბურთელთა ნაკრებმა გუნდმა, რომელიც ევროპის ზონის „ა" ჯგუფში გამოდის, გაიმარჯვა დევისის თასის მეორე წრის მატჩში მონაკოს გუნდთან — 3:0. ა. მეტრეველმა დაამარცხა ბ. ბალერე — 6:3, 3:6, 7:5, 6:2, ხოლო თ. კაკულიამ — ლ. ბორფიგი — 6:1, 4:6, 6:4, 6:3. შემდეგ მეტრეველ-კაკულიას წყვილმა მოუგო ბორფიგ-ბალერეს დუეტს და დანარჩენი ორი შეხვედრის შედეგის მიუხედავად საერთო გამარჯვება მოიპოვა. და მაინც საბჭოთა ჩოგბურთელებმა დანარჩენი ორი შეხვედრაც ჩაატარეს. კაკულიამ წააგო ბალერესთან — 4:6, 6:2, 6:1, 4:6, 3:6, მეტრეველმა კი დაამარცხა ბორფიგი — 6:2, 6:2 (შეხვედრა სამ პარტიაში გაიმართა).

ამრიგად საბოლოო ანგარიშია 4:1 საბჭოთა ჩოგბურთელების სასარგებლოდ.

### თანამედროვე ხუთჭიდი

## პირადიც, გუნდურიც

ვილნიუსი, 18 სექტემბერი. აქ დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება თანამედროვე ხუთჭიდში, სადაც გამარჯვება მოიპოვა ქ. კრასნოდარის წარმომადგენელმა ო. ბულგაკოვმა. იგი სტარტიდანვე დაწინაურდა და საბოლოოდ დააგროვა 5285 ქულა. მეორე ადგილზეა მოსკოველი ა. ხაპლანოვი, რომელიც გამარჯვებულს 108 ქულით ჩამორჩა, მესამეზე — ვ. გიუოშევი (რსფსრ) — 5054.

რსფსრ-ს წარმომადგენლებმა 15.063 ქულით მოიპოვეს საერთო პირველი ადგილი და 185 ქულით გაუსწრეს ლიტველ ხუთჭიდელებს, რომლებსაც 15 წელია არ ჰქონიათ ასეთი წარმატება საკავშირო შეჯიბრებებში. III ადგილზეა უკრაინის გუნდი — 14.517.

# სსრ კავშირის ჩემპიონატი

## ღირსეული მემკვიდრე

### დასასრული

ჩემპიონატის მესამე დღის პროგრამით უკანასკნელი მედლები 20 კილომეტრზე სპორტული სიარულის ოსტატებმა გაითამაშეს. საღამოს სტარტზე პირადი შედეგების მიხედვით შერჩეული საუკეთესო სპორტსმენები გამოვიდნენ. ახვანი დილით ასპარეზობდნენ. მაშინ საუკეთესო შედეგს მიაღწია კ. აპოლიანისმა (რსფსრ), რომელმაც სტადიონის 50 წრეს 1 საათში, 27 წუთსა და 43,4 წამში შემოუარა.

ვინ იფიქრებდა, რომ ეს მაჩვენებელი სპორტსმენს ვერცხლის მედალს მოაპოვებინებდა? საღამოს ხომ შეჯიბრებისთვის გაცილებით უკეთესი პირობები იყო (უფრო გრილოდა) და გამარჯვებისთვისაც მრავალ ბრძოლაში ნაწრთობი, გაცილებით ძლიერი ათლეტები გამოდიოდნენ.

როცა ფინიშამდე რამდენიმე წრე დარჩა, უკრაინელი ბ. იაკოვლევი, ჩელიაბინსკელი ვ. სემიონოვი და სოჩელი ე. ევსიუკოვი დაწინაურდნენ. ბოლო წრეზე სემიონოვს ყველაზე მეტი ძალა აღმოაჩნდა — იგი ერთპიროვნული ლიდერი გახდა. საბოლოოდ ჩელიაბინსკელმა სპორტსმენმა პირველობა მოიგო — 1:27.15,2. ევსიუკოვი ბრინჯაოს მედალს დასჯერდა — 1:27.49,8.

სტადიონზე მოსული გულშემატკივრები ალბათ შეამჩნევდნენ, რომ მთელ რიგ სახეობებში პირველ ადგილზე გასულ სპორტსმენებს ჩემპიონის ოქროს მედლით არ აჯილდოვებდნენ.

ეს სიახლეა. იგი ნაკარნახევია მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადისთვის სამზადისში ჩვენი მძლეოსნების შედეგების საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოვების მიზნით. მედლებს ვერ იღებდნენ ისინი, რომელთა მაჩვენებლები აღნიშნულ სახეობაში მსოფლიო რეკორდებს საგრძნობლად ჩამორჩებოდა.

საკავშირო სპორტკომიტეტმა ჩემპიონის სახელისთვის მებრძოლთათვის განსაკუთრებული ნორმატივები დააწესა, რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში პირველ ადგილზე გასულ სპორტსმენს მხოლოდ ჩემპიონატში გამარჯვებულის სახელი ენიჭებოდა, მედლით კი არ ჯილდოვდებოდა.

მაგალითად, შუბის ტყორცნაში ვაჟებისთვის ნორმატივი იყო 84 მეტრი, ქალებისთვის — 60, ბადროს მტყორცნელი ვაჟებისთვის — 62 მ, ქალებისთვის — 63 მ., უროს მტყორცნელებისთვის ნორმატივად 74 მეტრია დაწესებული, 5000 მეტრზე მორბენლებისთვის — 13 წუთი და 25 წამი და სხვ.

თბილისში გუნდური ტურნირიც მიმდინარეობს: მოკავშირე რესპუბლიკების მოსკოვისა და ლენინგრადის, რსფსრ-ს ოთხი ოლქისა და ორი მხარის კოლექტივები სიძლიერის მიხედვით ორ ჯგუფად არიან დაყოფილნი. საერთო შედეგების დათვლისას მხედველობაში მიიღება ცალკეული სპორტსმენის მიერ ევროპის ჩემპიონატში მოპოვებული შედეგები, იუნიორთა საკავშირო შეჯიბრებაში მოგროვებული ქულები და ის ქულები, რომლებსაც სპორტსმენები საკავშირო ჩემპიონატში მიიღებენ.

ამ უკანასკნელ სტარტებს საგრძნობი კორექტივების შეტანა შეუძლია ადგილების საბოლოო განაწილებაში, სამი დღის შემდეგ საქართველოს სპორტსმენებს 161,5 ქულა ჰქონდათ. აქედან სანეევმა მოიპოვა 76 ქულა (48 — პრაღაში, 28 — თბილისში), ს. გუმბაძ — 23, ტიტოვმა — 12, ხოლო დანარჩენი 50,5 ქულა იუნიორთა წილად მოდის.

ო. გელაშვილი.



ვ. იგნატენკო.



ს. კრაჩევსკაია.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. პროკოფიევი.

## ორი მედალი ერთად

**ქალთა** მძლეოსნობის ახალმა სახეობამ — 400 მეტრზე თარჯრბენმა საბჭოთა სპორტსმენებს ერთბაშად მოუპოვა აღიარება: მოსკოველმა თ. ზელენცოვამ ორი თვის მანძილზე მანამდე არნახულ შედეგებს მიაღწია. მან ევროპის ჩემპიონატში მარტო ოქროს მედალი კი არ მოიპოვა, თავისივე მსოფლიო რეკორდიც გააუმჯობესა.

თბილისში მისი ცდა, რეკორდის ჭერი კიდევ უფრო მაღლა აეწია, უშედეგო გამოდგა, მაგრამ, როგორც ფინიშის შემდეგ თვითონ განაცხადა, აქ ნაჩვენები შედეგით უკმაყოფილო როდია. ზელენცოვამ (54,96 წამი) საგრძნობლად ჩამოიტოვა „ოქროს" სხვა მაძიებლები — მ. მაკეევა (რსფსრ), — 56,14 და უკრაინელი ტ. ზუბოვა — 56,97.

ამ დღეს ზელენცოვას ერთდროულად ორი მედალი გადაეცა. ერთი — სსრ კავშირის ჩემპიონისა, მეორეც — მსოფლიო რეკორდის დამყარებისთვის.

ვაჟთა შორის ამ დისტანციაზე კარგახანია საქართველოს სპორტსმენებიდან ფინალში არავინ გასულა. და აი, ახლა ეს უსიამო ტრადიცია დაარღვია გ. ტიტოვმა, რომელმაც რვა უძლიერესთა შორის მოიპოვა ადგილი. მართალია, ფინალში ბოლო იყო, მაგრამ მაინც გუნდს 12 ქულა მოუტანა. გამარჯვება წილად ხვდა გ. არხიპენკოს (უკრაინა) — 49,09. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მოსკოველი დ. სტუკალოვი — 49,07 და ბელორუსიის გუნდის წევრი ო. ბულატკინი — 50,38.

რ. ზანშიაშვილი.

## მისი მიზანი

**ვაჟთა** შორის ბირთვის კვრაში ჩემპიონობისთვის მებრძოლ 34 ათლეტიდან ფინალურ ტურნირში რვა უძლიერესი გავიდა. მათ შორის იყვნენ პრაღის ევროპის ჩემპიონატის მეორე და მესამე პრიზიორები ე. მირონოვი და ა. ბარიშნიკოვი (ორივე — ლენინგრადი).

როგორიც სპეციალისტები ვარაუდობდნენ, პირველი ადგილისათვის ბრძოლა სწორედ ამ ორ სპორტსმენს შორის უნდა გაჩაღებულიყო. ძირითადი შეჯიბრების პირველი ცდიდანვე ლიდერობა ხელთ იგდო ბარიშნიკოვმა — 20,15 მ. მან ეს შედეგი მესამე ცდაზე 40 სანტიმეტრით გააუმჯობესა და ფინალის ბოლო ცდაზე ერთხელ კიდევ გაიმეორა. ბარიშნიკოვი საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალს დაეუფლა.

აღსანიშნავია, რომ ჩემპიონს ავარჯიშებს სპორტის დამსახურებული ოსტატი... ნადეჟდა ჩიჟოვა. — ახლა ჩემი მთავარი მიზანია მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში გამოსვლა და საბჭოთა კავშირისთვის მსოფლიო რეკორდის დაბრუნება...

პრაღის ჩემპიონატის პრიზიორს მირონოვს აჯობა უკრაინის გუნდის წევრმა ა. ნოსენკომ (20,10 მ) და ვერცხლის მედალი მოიპოვა. მირონოვი III ადგილს დასჯერდა — 20,03 მ.

ჯ. დანელია.

## ზედმა არ გაუღიმა

**როდესაც** სარბენ ბილიკებზე წინაღობები დადგეს და 3000 მეტრზე რბენის მონაწილენი სტარტზე გამწკრივდნენ, სპორტის გულშემატკივრებს მაშინვე გაახსენდათ სამიოდე თვის წინათ ამავე სარბიელზე გამართული ასპარეზობა „პრავდის" პრიზებზე. მაშინ 3000 მეტრზე წინაღობებით რბენა მართლაც რომ დაძაბული და საინტერესო გამოდგა. პირველ გარბენში იქ ეთიოპიელმა ა. იშეტუმ გაიმარჯვა (8.32,7), ხოლო მეორეში მისმა თანამემამულემ მ. იოჰენესმა საკმაოდ დიდი მანძილით ჩამოიტოვა უკან თავისი მეტოქენი და ფინიშთან პირველი მიიჭრა (8.32,4). ეს ორი შთამბეჭდავი გამარჯვება თბილისელ მაყურებელს კარგად დაახსომდა და ამიტომაც ინტერესით შეხვდა იმ სპორტსმენებს დასავლეთის ტრიბუნებთან რომ აიღეს სტარტი. ფავორიტთა ჯგუფი პირველივე წრეზე გამოიკვეთა — დაწინაურდნენ ს. ოლიზარენკო (უკრაინა), ვ. ლისოვსკი (ლენინგრადი), ა. მიქოიანი (სომხეთი) და ვ. ფილონოვი (რსფსრ). მძლეოსნობის გულშემატკივრები დიდი ხანია ელიან საბჭოთა მორბენლებისგან ამ დისტანციაზე მოპოვებულ რიგიან შედეგებს, მაგრამ მაყურებელს არც იმ დღეს გაუღიმა ზედმა. სპორტსმენებმა დასაწყისში მართალია მაღალი ტემპი განავითარეს, მაგრამ ინიციატივის გამოჩენა ვერავინ გაბედა და ძირითად ჯგუფს უკანასკნელ წრემდე არც ერთმა მათგანმა არ გადაუსწრო. ფინიშის სწორამდე უკანასკნელი მოსახვევიღა იყო დარჩენილი, როცა რსფსრ-ს ნაკრები გუნდის წარმომადგენელმა ვ. ფილონოვმა ზედიზედ ყველა მეტოქეს აუარა გვერდი და ფინიშთან პირველი მიიჭრა (8.35,9). მეორე ადგილი წილად ხვდა მის თანაგუნდელ ა. დიმოვს (8.37,0), ხოლო მესამე — ლენინგრადელ ვ. ლისოვსკის (8.37,2).

ნ. ზავიძე.



ფინალურ შეჯიბრებას სიგრძეზე ხტომაში 12 საუკეთესო მხტომელი ვაჟი შემორჩა. პირველი ადგილისთვის ძირითადად ს. შჩერბინი (რსფსრ), ნ. პიირისილდი (ესტონეთი), ვ. ცეპელიოვი (აზერბაიჯანი) და ვ. ბელსკი (ბელორუსია) იბრძოდნენ.

პირველი ცდიდანვე დაწინაურდა ვ. ცეპელიოვი, მისმა მეორე ნახტომმა კი ყველა შედეგს გადააჭარბა (803 სმ), II ადგილზე გამოვიდა ვ. ბელსკი (790), III იყო ვ. პოდლუჟნი (786).

გამარჯვებული ვ. ცეპელიოვი თბილისში მეორედ ასპარეზობს. ამას წინათ გამართულ გაზეთ „პრავდის" პრიზზე მან II ადგილი დაიკავა. მის მიერ ამჯერად ნაჩვენები შედეგი კი აზერბაიჯანის სსრ ახალი რეკორდია.

ქ. სალუქვაძე.

* * *

სურათზე: ვ. ცეპელიოვი „ოქროს" ნახტომი.

ავტორის ფოტო.

## ქალას დაზოგვა უნდა

**ამ** ჩემპიონატზე დიდი ინტერესით ველოდი 400 მეტრზე მორბენალთა შეჯიბრებას, სწორედ აქ გამოდიოდნენ ქალთა შორის წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორები 4×400 მეტრზე ესტაფეტაში ნ. მუშტა (რსფსრ), უკრაინელები მ. კულჩუნოვა და ტ. პროროჩენკო და სხვები.

როგორც მოსალოდნელი იყო, კულჩუნოვამ გაიმარჯვა. თანაც, ჩვენი მოლოდინი ლამის ასრულდა. მარიამ 50,84 აჩვენა და სულ რაღაც წამის ერთი მეასედი დააკლო თავისივე საკავშირო რეკორდს. მეორე იყო პროროჩენკო — 51,13, ხოლო მესამე — მუშტა — 51,59.

ვაჟებს შორის ადგილები ასე განაწილდა: ვ. დოცენკო (რსფსრ) — 46,34, ვ. ევსტიუნინი — 46,69, ვ. ბელაკონი (ორივე — უკრაინა) — 46,77.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა 800 მეტრზე შეჯიბრება. „პრავდის" პრიზების გათამაშებაში ლენინგრადელმა მსოფლიო რეკორდსმენმა ტ. პროვიდოხინამ 1.58,63 აჩვენა, რაც იმ დროისთვის სეზონის საუკეთესო შედეგი იყო მსოფლიოში. პროვიდოხინა ახლაც გამარჯვებისთვის იყო განწყობილი: სტარტიდანვე წინ გაიჭრა, უკან კი თანაგუნდელი ლ. ვესელკოვა მიჰყვა. ფინიშთანაც ასევე მივიდნენ. პროვიდოხინას შედეგია — 1.57,6, ვესელკოვა ერთი მეათედი წამით ჩამორჩა. მესამე იყო მოსკოველი ს. სტირკინა — 1.58,0.

სხვათა შორის, პროგრამის ამ სახეობაში „პრავდის" პრიზის გათამაშების საპატიო კვარცხლბეკის ყველა საფეხურზე იგივე ქალები იდგნენ.

ვაჟთა შორის ფავორიტებად ვ. მალოზემლინი (რსფსრ) და ნ. კიროვი (ბელორუსია) ითვლებოდნენ. დისტანციის პირველ ნახევარში ლიდერის როლში მალოზემლინი მოგვევლინა.

მაგრამ ლიდერი ყოველთვის როდი იმარჯვებს. ახლაც ასე იყო. მეორე ფავორიტი კიროვი დისტანციის პირველ ნახევარში მხოლოდ მეხუთე მიდიოდა. როცა ფინიშამდე ორასიოდე მეტრიღა დარჩა, კიროვმა მკვეთრად უმატა ტემპს და მისი შეჩერება ველარავინ შესძლო — 1.46,3. მალოზემლინს ფინიშის სწორზე მთელი ენერგია დახარჯული ჰქონდა და III ადგილი დაიკავა — 1.47,5. მეორე იყო მისი თანაგუნდელი ნ. შიროკოვი — 1.46,9.

ა. გურასაშვილი.

სურათებზე: 200 მეტრზე ვაჟთა ფინალური ტურნირის ფინიში; 400 მეტრზე თარჯრბენში ქალთა ასპარეზობის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტოები.





# მძლეოსნობაში



შ. ბარდაუსკიენე.

## ათ ფინალისტს შორის

ჭოკით მხტომელთა სექტორში ბრძოლა პირველობისთვის ძალზე დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. ფინალურ ასპარეზობას მხოლოდ 10 სპორტსმენი შემორჩა და სწორედ მათ პაექრობაში უნდა გარკვეულიყო ვინ გახდებოდა სსრ კავშირის 1978 წლის ჩემპიონი.

ფინალისტთა შორისაც იყვნენ ლიდერები — უკრაინელი ვ. ტანანიკა, ლენინგრადელი ვ. კიშკუნი, რსფსრ-ს წარმომადგენელი ა. დოლგოვი და სხვები. სწორედ ისინი აძლევდნენ ტონს ჭოკით მხტომელთა ასპარეზობას. ტანანიკამ ბრძოლა მაშინ დაიწყო, როცა თამასა 520 სანტიმეტრზე დადეს. სიმაღლე დაძლია, შემდეგ კი 535 სანტიმეტრი გამოტოვა. მის მაგალითს მიბაძა კიშკუნმაც. დოლგოვმა კი ამ სიმაღლის დაძლევა მხოლოდ მეორე ცდაზე შეძლო.

როდესაც თამასამ 540 სანტიმეტრზე აიწია, სექტორს მხოლოდ 5 მონაწილე შერჩა. ფავორიტების მხარდამხარ იბრძოდნენ ვ. ლიევენცევი (უკრაინა) და ნ სელივანოვი (მოსკოვი), მაგრამ მათთვის ეს სიმაღლე „უკანასკნელი“ აღმოჩნდა.

ტანინიკა სიმაღლეს პირველივე ცდაზე გადაევლო, კიშკუნსა და დოლგოვს მეორე ცდის გამოყენებაც დასჭირდათ.

ბრძოლა გამწვავდა. საქმეს უკვე მარტო ტექნიკა ვერ უშველიდა, გაიმარჯვებდა ის, ვინც ფსიქოლოგიურად უკეთ იქნებოდა მომზადებული. 545 სანტიმეტრზე გადებულ თამასას დოლგოვი ამაოდ შეეჭიდა და იძულებული გახდა მესამე ადგილს დასჯერებოდა. 550 სმ-ს ორად ორი კაცი — ტანანიკა და კიშკუნი შემორჩა. ეს სიმაღლე მეორე ცდაზე მხოლოდ ლიდერმა გადალახა. მეორე, წარუმატებელი ცდის შემდეგ კიშკუნმა მოითხოვა თამასის 555 სმ-ზე აწევა. რა თქმა უნდა, ლენინგრადელს ამანაც ვერ უშველა და იძულებული გახდა მეორე ადგილს დასჯერებოდა.

ა. ჭანტურია.

## ჩემპიონთა ჩემპიონი სხვაგვარად ფიქრობს

დასავლეთ ტრიბუნის წინ სიგრძეზე მხტომელმა ქალებმა დაამთავრეს ასპარეზობა. მსოფლიო რეკორდსმენი ვილმა ბარდაუსკენე ილად გაუსწორდა მეტოქეებს.

დიქტორის განცხადება, რომ აქ ახლა სამხტომელები შეეცილებოდნენ ერთმანეთს სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალს, ალბათ ზედმეტი იყო — ტრიბუნა კარგა ხანია ვაჟსო მაყურებლით და თანამემამულის, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის გამოჩენასღა ელოდა.

მოთელვა.

პირველი სასინჯი ხტომები. ვალიუკევიჩი, პისკულინი, ლისიჩონოკი, უუდმიაე... ასპარეზობაცა და ოქროს მედალიც მეტ ფასს იძენს, როცა მეტოქეებს შორის ოლიმპიური ჩემპიონია. პისკულინს ქვეყნის ჩემპიონის ტიტულის დაცვა მოუწევს — ევროპის პირველობის მესამე პრიზიორმა პრაღაში 6 სანტიმეტრი წააგო სანეევთან. თავისი ზრახვები აქვთ ევროპის ჩემპიონს იუნიორთა შორის ვალიუკევიჩს, ქვეყნის იუნიორთა რეკორდსმენს ლისიჩონოკს, სხვებს... სხვებს... სხვანაირად სამხტომის სექტორზე გამოსვლას არცა აქვს აზრი...

უთუოდ თავისას ფიქრობს ოლიმპიური ჩემპიონიც. ტრავმა, ოპერაცია და „მხოლოდ ვერცხლი“ ახლახან დამთავრებულ ევროპის პირველობაზე, ახალგაზრდებიც სულ უფრო თამამად აცხადებენ თავიანთ პრეტენზიებს. იქით, ორი წლის მიღმა კი რიგით მეოთხე ოლიმპიადის კონტურები იკვეთება.

სამი თუ ოთხი გამორბენი, არც ერთი არეკნი. ვინ იცის, ზოგი იქნებ იმასაც ფიქრობს, ვიქტორი არ კადრულობს, თავს არ უტოლებს მეტოქეებსო. თითქოსდა მართლაც ასე ჩანს, საქმე კი სულ სხვანაირად არის. ნაოპერაციევ ფეხს ერთბაშად დიდი დატვირთვა ბევრს ვერაფერს არგებს, სიფრთხილეა საჭირო. საათნახევრის შემდეგ სამი ოლიმპიადის ლაურეატი ჟურნალისტებს გამოუტყდება: „თითქმის ერთი კვირაა, არ მივარჯიშნია, დღევანდელი დღისთვის ვუფრთხილდებოდი ფეხს“.

მხოლოდ მეხუთე გამორბენს მოჰყვა მსუბუქი არეკნი. სიმშვიდე, რწმენა და სიმსუბუქე იგრძნობა ამ უმნიშვნელო, ერთფაზიან ნახტომში.

პირველი ცდა.

პერევალოვი — 16,57. პისკულინი — 16.66. უუდმიაე — 16,58. სამივე სპორტსმენი ოლიმპიური ჩემპიონის წინ ხტება. თუ საჭირო გახდა, თვალყურის დევნება საკმაოდ იოლია. სერიოზულ მეტოქეთაგან ერთადერთი ვალიუკევიჩი „ჩასაფრებულა“ ვიქტორის უკან. სანეევი — 16,74 (ჩემპიონი უქმაყოფილოდ აქნევს თავს — საკონტროლო ხაზამდე 15 სანტიმეტრი მარაგი მაინც დარჩა). ევროპის ჩემპიონი იუნიორთა შორის „ძალზე ჩუმად“ იწყებს ბრძოლას — 16,27.

მეორე ცდა.

დღის სინათლეზევე დანთებული პროჟექტორები სტადიონის თავზე ჩამოწოლილ ბინდს სარბენ ბილიკებამდე არ უშვებს. და მაინც საკონტროლო ხაზი ისე მკვეთრად აღარ ჩანს.

პერევალოვს ცდა არ ჩაეთვალა, პისკულინმა 16 სანტიმეტრით გააუარესა პირველი ნახტომი, შეფასება ვერც უუდმიაემ მიიღო. ვიქტორ სანეევი — 16,94 (ამ შედეგით სრეიოვიჩი ევროპის ჩემპიონი გახდა. იუგოსლაველმა ბოლო ცდაზე 1 სანტიმეტრით გადაასწრო ვიქტორს, ოლიმპიურ ჩემპიონს კიდევ ჰქონდა დარჩენილი უკანასკნელი მეექვსე ცდა. ის ავბედითი პირქარი რომ არა... თუმცა, რაც იყო, იყო, ფიქრი და სინანული ვეღარაფერს დააბრუნებს). ვალიუკევიჩი 24 სანტიმეტრით აუმჯობესებს პირველ ნახტომს — 16,51.

მესამე და მომდევნო ცდებზეც ალმაათელი ვ. პერევალოვის შეფასება ისევ ნულია. პისკულინმა მხოლოდ სანტიმეტრი დაამატა, არც უუდმიაეს გამოუვიდა მესამე ნახტომი. ისევ საკმაო მარაგით ხტება ოლიმპიური ჩემპიონი — 16,89 („მაყურებელი რაღაც განსაკუთრებულს ელოდა ჩემგან, ეს სექტორზე გამოსვლისთანავე ვიგრძენი. ეტყობა არც პრაღის ჩემპიონატის მარცხთან იყვნენ შეგუებულნი, ჩემი არ იყოს. გულშემატკივრის ნდობასა და სიყვარულს კი პასუხის გაცემა ესაჭიროება. მოვალედ ვიგრძენი თავი და ამან თუ შემბოჭა“). ევროპის ჩემპიონი იუნიორთა შორის გ. ვალიუკევიჩი 32 სანტიმეტრით აუმჯობესებს წინა ნახტომს — 16,83.

მეოთხე ცდა.

ქვეყნის ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება ზომაზე მეტად მძიმე ტვირთი გამოდგა — ლენინგრადელ პისკულინს, როგორც ჩანს, უმტყუნა ნერვებმა, საცაა დაჰყრის ფარ-ხმალს. სანეევი და ვალიუკევიჩი ვერ აუმჯობესებენ შედეგს, თუმცა მაინც ყველაზე შორს ხტებიან. ოლიმპიური ჩემპიონის მუხლის ზემოთ პლასტირის სამი თეთრი ზოლი გაჩნდა — გადატანილი ოპერაცია თავისას მოითხოვს. თითქოსდა გამარჯვებაც გარანტირებულია, მაგრამ ბრძოლაზე უარის თქმა ჯერ ნაადრევია. წინ კიდევ ორი ცდაა, ვინ იცის, ყველაფერი ხდება. თანამემამულეთა თვალწინ დამარცხებას კი სანეევი პირველყოვლისა საკუთარ თავს არ აპატიებს. თავისი კუმირის გამარჯვებით განებივრებული მაყურებელიც მხოლოდ ოქროს მედალს ელის.

მეხუთე ცდა ოლიმპიური ჩემპიონისა იყო. პისკულინი — 16,55. უუდმიაე — 0. ვალიუკევიჩი — 16,40. ვიქტორ სანეევი — 17,03! დიდოსტატური შედეგია, თანაც ჩემპიონის ნატერფალსა და საკონტროლო ხაზს არა ერთი და ორი სანტიმეტრები აშორებს („17 და 30-სთვის მზად ვიყავი, მაგრამ... ნაოპერაციევი ფეხი შეწევა უკან. თან, ხელოვნურმა განათებამაც შემიშალა ხელი, თითქმის ყველა ცდაზე სანტიმეტრების საკმაო მარაგი მრჩებოდა“).

მეექვსე ცდამ კიდევ ერთხელ აალელვა მაყურებელი. აქამდე ჩრდილში მდგომმა უუდმიაემ უკანასკნელად გაიბრძოლა და... 16,86! მხოლოდ სანეევის ნახტომები სჯობდა ამ შედეგს. სტარტზეა ვალიუკევიჩი. ახალგაზრდა სპორტსმენი პრაღის ჩემპიონატზე მეხუთე იყო, მისგან მომავალში უფრო დიდ წარმატებებს ელიან. ახლა კი, თითქმის განაღდებული „ვერცხლი“ ხელიდან ეცლება. გამორბენი, თეთრი ზღუდე, ერთი... ორი.... სამი... და მსაჯი ინფორმატორის ხმის მოლოდინში ტრიბუნა ერთი წამით გაირინდა. 16,94! მშვენიერი ნახტომია, სპორტსმენმა შეუძლებელი შეძლო და ახლა საბოლოოდ დაიბრუნა თითქმის დაკარგული ვერცხლის მედალიც, მაგრამ ტყუილად აღელდა გულშემატკივარი — ეს დიდებული ნახტომი ოლიმპიური ჩემპიონის მიერ ამ დღეს ნაჩვენებ მხოლოდ მესამე შედეგს გაუთანაბრდა.

ვიქტორ სანეევი სსრ კავშირის ჩემპიონია!

მისი გვარის გასწვრივ ახლო ხშირად ხმარობენ სიტყვა „ვეტერანს“. რა თქმა უნდა, სამი ათეული წელიწადი არც თუ იოლად სატარებელი ტვირთია, მაგრამ სხვაგვარად ფიქრობს თვით ვიქტორიცა და მისი ბევრი, ძალზე ბევრი თაყვანისმცემელიც. წინ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაა, მერე კი XXII ოლიმპიური თამაშები, რიგით მეოთხე ოლიმპიადა. ძველი მეტოქეებიც იქნებიან, ბევრი ახალი გვარიც გამოჩნდება, და მაინც, თვით მრავალნაცადი სპორტსმენის თქმისა არ იყოს, ჩემპიონთა ჩემპიონი კიდევ ბევრ მეტოქეს გაუფუჭებს გუნებას.

ი. ბერიაშვილი.

## გუშინ...

საკავშირო ჩემპიონატის ბოლო დღე იყო. პრიზიორები გამოვლინდა კიდევ 12 სახეობაში. შეიძლება ითქვას, ეს იყო ესტაფეტების დღე, ვინაიდან სტადიონის სარბენ ბილიკებზე მოეწყო ქალებისა და ვაჟების შეჯიბრებები 4X100 მეტრზე, 4X200 მეტრზე, 4X400 მეტრზე და 4X800 მეტრზე.

ამ დღეს შეაჯამეს შედეგები ურომხტყორცნელებმა, სიმაღლეზე მხტომელმა ვაჟებმა და ბადროს მტყორცნელმა ქალებმა. აგრეთვე გაიმართა 5000 მეტრზე ფინალური გარბენი.

გუშინ, გვიან საღამოს მოეწყო მძლეოსნობაში საბჭოთა კავშირის 1978 წლის ჩემპიონატის საზეიმო დახურვა.

## „მ ა თ ი გულშემატკივარი ვ ა რ!“

დასასრული

საქართველოს დელეგაციის შტაბში მუდამ ხალხმრავლობაა. ბჭობენ, კამათობენ, აჯამებენ.

— პირველი შედეგები ურიგო როდია, — გვითხრა საქართველოს განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველოს უფროსმა დავით ქვინიკაძემ, — ყოველ შემთხვევაში გასულ სპარტაკიადებზე ჩვენს სპორტსმენებს სტარტი ასე კარგად არასოდეს აულიათ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ უკეთესი შედეგების მოპოვებაც შეიძლებოდა. უეჭველია, ჩვენი სპორტსმენების საბოლოო ადგილზე განსაკუთრებით იმოქმედებს მოცურავეთა უფერული გამოსვლა. ის, რომ ჯერჯერობით ჩვენი უშუალო კონკურენტები ქულების საკმაო მარაგით გვისწრებენ, პირველ რიგში სწორედ მოცურავეების ბრალია, მეტს მოველოდით მოკრივეებისაგან. მართალია, მათ წინა სპარტაკიადასთან შედარებით სამი საფეხურით წაიწიეს წინ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ბავშვთა კრივის განვითარების დონე გვაკმაყოფილებდეს, ჩვენს მოკრივეებს აკლდათ მთავარი — შემართება, მონოლითურობა, ბოლომდე ბრძოლის უნარი.

სხვათაშორის, სწორედ ამ თვისებებს გაუსვა ხაზი მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ვლადიმერ ენგიბარიანმა, როცა ჩვენს მოკრივეებზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ.

— თქვენი ბიჭები საკმაოდ ტექნიკურები არიან, განსაკუთრებით მომეწონა ყურაშვილი და ქვილითაია, მაგრამ ისინი, აგრეთვე გუნდის სხვა წევრები შესამჩნევად მოიკოჭლებენ გამძლეობაში. კრივში კი ეს თვისება გადამწყვეტ როლს თამაშობს.

დაიწყო ასპარეზობა აკრობატიკაში. პირველი სამი დღის შედეგების მიხედვით საქართველოს ნაკრები უკრაინისა და რსფსრ-ს გუნდების შემდეგ მესამე ადგილზე იმყოფება. გოგონათა სამეულის ასპარეზობაში თბილისის 143-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ნანა კიკილაშვილმა, მანანა მნათობიშვილმა და მაია შილაკაძემ ვერცხლის მედლები დაიმსახურეს. ვერცხლის მედლები გადაეცათ აგრეთვე ს. სისოევსა და ა. ზალინიანს (ვაჟთა ძალისმიერი წყვილი).

მოჭადრაკეთა შეჯიბრების პირველ ტურში საქართველოს გუნდის მეტოქე იყო ტაჯიკეთის ნაკრები. ჩვენმა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს ხუთ დაფაზე, ერთზე დამარცხდნენ, ორი პარტია კი გადაიდო. მეორე ტურში ისინი შეხვდნენ უკრაინის ნაკრებს. ჯერჯერობით ანგარიშია 4:2 უკრაინელთა სასარგებლოდ. აქაც ორი პარტია გადაიდო.

ხელბურთში ჩვენმა გოგონებმა და ჭაბუკებმა უკვე 2-2 შეხვედრა ჩაატარეს. პირველ მატჩში გოგონათა გუნდი დამარცხდა მოლდაველის ნაკრებთან — 17:19. მეორე ტურში კი გაიმარჯვა აზერბაიჯანის გუნდთან 24:16. სუსტად გამოდიან ჭაბუკები, ისინი ჯერ ყაზახეთის ნაკრებთან დამარცხდნენ — 22:30, შემდეგ კი აზერბაიჯანელებთან — 22:23.

ფრენბურთელთა პირველი ტურის შედეგები ასეთია: გოგონები, ლენინგრადი — საქართველო — 3:1. ჭაბუკები, უზბეკეთი — საქართველო — 3:2.

გაიმართა ფეხბურთელთა შეხვედრებიც. საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებმა დაამარცხა ყაზახეთის გუნდი — 3:2. გოლები გაიტანეს ბ. მეტრეველმა, თ. რეხვიაშვილმა და ვ. ცაავამ.

## დიდი გამოცდა ელით

საქართველოს სპორტკომიტეტში გაიმართა ჩვენი რესპუბლიკის ძიუდოისტთა და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გაერთიანებული თათბირი. რესპუბლიკის ნაკრები გუნდების სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისა და მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების შესახებ ისაუბრა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე დ. ა. პერტენავამ. მან აღნიშნა, რომ ჩვენი ფალავნების ამ დიდმნიშვნელოვანი ასპარეზობებისათვის მზადება დღევანდელ ეტაპზე დამაკმაყოფილებელია, მაგრამ მას თან ახლავს გარკვეული ხარვეზებიც, რომელთა გამოსწორება მეტად საშურ საქმეს წარმოადგენს.

ცალკეულ გუნდთა მუშაობის შესახებ ილაპარაკეს მოჭიდავეთა ნაკრების გუნდების უფროსმა მწვრთნელებმა ზ. მაზიაშვილმა და მ. ოსიყმაშვილმა.

სპორტული სეზონი ჯერაც არ დამთავრებულა, მაგრამ ქართველმა ძიუდოისტებმა უკვე მოასწრეს 40 მედლის აღება, მათგან 20 „ოქრო“, 8 — „ვერცხლი“ და 12 — „ბრინჯაო“. ჩვენი რესპუბლიკის ძიუდოისტთა ნაკრები წინა VI სპარტაკიადის ჩემპიონია და ამჯერადაც ეცდება ამ ტიტულის შენარჩუნებას. ინტენსიური წვრთნის წინასწარ დაგეგმილ ციკლს გადიან გუნდის წევრები შ. ჩოჩიშვილი, ჯ. ნიჟარაძე, რ. ხარშილაძე, ბ. გოგიჩაშვილი, თ. ნამგალაური, შ. ხაზარელი და სხვები.

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებმა უკვე გადაიტანა თაობათა ცვლის კრიზისული მომენტი. გუნდში მოვიდნენ ახალგაზრდა, პერსპექტიული ფალავნები: მ. მერმანიშვილი, ჯ. ტარიელაძე, გ. მაჭაცარაშვილი, თ. ქენქაძე, დ. გვაური და სხვები, რომლებიც ცნობილ ქართველ ფალავნებთან ნ. მოდებაძესთან, ლ. თედიაშვილსა და რ. ხუტაბასთან ერთად ხალხთა VII სპარტაკიადაზე საპრიზო III ადგილისთვის იბრძოლებენ (წინა სპარტაკიადაზე ჩვენი გუნდი VI ადგილს დასჯერდა).

ჩვენი მოჭიდავეების მზადების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კათედრის თანამშრომლებს ნ. ოყროშიძეს, ი. ალიხანოვს, გ. რატიშვილსა და ა. ჩუტლაშვილს.

აღინიშნა, რომ წინანდელთან შედარებით გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა რესპუბლიკის რაიონებში, საიდანაც პერსპექტიულ მოჭიდავეთა ახალი, ძლიერი ნაკადი მოედინება.

ქართველ ფალავნებს წელს დიდი გამოცდა ელით — წინაა სსრ კავშირის თასების გათამაშება, რომელიც ხალხთა VII სპარტაკიადისა და მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისათვის სამზადისის ძირითად ეტაპად ითვლება.

## ძალოსნობა

დუბნა (მოსკოვის ოლქი), 18 სექტემბერი. ძალოსანმა ვ. კონონოვმა (ნოვოკუიბიშევსკი) დაამყარა 2 ახალი მსოფლიო რეკორდი მეორე ქვემძიმე წონის კატეგორიაში (100 კილოგრამამდე). მან აჰკრა 225 კგ, რაც 2 კილოგრამით მეტია კრასნოდარელი ს. არაქელოვის ძველ რეკორდზე, ხოლო ორჭიდის ჯამში დააგროვა 397,5 კგ, რაც 2,5 კილოგრამით უმჯობესია შახტელი დ. რიგერტის ძველ რეკორდზე.

ახალი მსოფლიო რეკორდსმენი კონკურსგარეშე მონაწილეობდა რსფსრ-სა და პოლონეთის ძალოსანთა ამხანაგურ ტრადიციულ შეჯიბრებაში.

## თხილამურები

ტოქსოვოს (ლენინგრადის ოლქი) თხილამურსაფარიან ტრამპლინზე გაიმართა „მფრინავი მოთხილამურეთა“ საკავშირო პირადი ჩემპიონატი. ყველაზე აჯობა პერმელმა ს. ბრიზგალოვმა, რომელმაც 242,2 ქულა მოაგროვა (ნახტომები — 74,5 და 73,5 მ). II ადგილზეა ს. საიჩიკი — 240,8 (73,5 და 72 მ), III — ი. კალინინი (ორიოლი — ლენინგრადი) — 240,3 (72 და 74,5 მ).

## კვლავ ყაიმი

**შაბათს** ბაგიოში (ფილიპინები) ვაჟთა შორის მსოფლიო პირველობაზე ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩში XXIII პარტია გათამაშდა. როგორც ვიუწყებოდით, ეს შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. გთავაზობთ ამ პარტიის ჩანაწერს.

**კორჩნოი — კარპოვი**

**ლაზიერის გამბიტი**

1. c4 მf6 2. მc3 e6 3. მf3 d5 4. d4 კe7 5. კf4 0—0 6. ე3 c5 7. dc კ:c5 8. ლc2 მc6 9. ეd1 ლa5 10. a3 კe7 11. მd2 e5 12. კg5 d4 13. მb3 ლb6 14. კ:f6 კ:f6 15. მd5 ლd8 16. კd3 g6 17. ed მ:d4 18. მ:d4 ed 19. მ:f6+ ლ:f6 20. 0—0 კe8 21. ეfe1 ეac8 22. b3 ეfd8 23. კe4 ეc7 24. ლd2 კg4 25. f3 კe6 26. a4 b6 27. a5 b5 28. cb კ:b3 29. ეb1 კd5 30. b6 ab 31. ე:b6 ეc8 32. ე:c6 კ:c6 33. კd3 კd7 34. a6 კf5 35. ლf4 მფg7 36. კ:f5 ლ:f5 37. ლ:f5 gf 38. ეa1 d3 39. მფf2 ეe8 40. ეa2 ეe7 41. ეd2 ეe6 ყაიმი.

მეტოქეებმა, როგორც XXI პარტიაში, ლაზიერის გამბიტი გაითამაშეს, მაგრამ მე-13 სვლაზე მსოფლიო ჩემპიონმა განსხვავებულად ითამაშა. მისი პაიკი სოლივით შეიჭრა ცენტრში და შეზღუდა თეთრების შესაძლებლობა.

ცენტრში მსუბუქი ფიგურების გაცვლის შემდეგ პრეტენდენტმა ლაზიერის ფრთაზე პაიკთა უპირატესობა გამოიყენა და გამსვლელი პაიკი შექმნა. ამან გაათანაბრა მეტოქეთა შანსი.

ეტლების ენდშპილში, თანაბარ პოზიციაში მეტოქენი დაზავდნენ.

ამრიგად, ლიდერობას განაგრძობს ა. კარპოვი 4:2 (17 ყაიმი).

XXIV პარტია დღეს, 19 სექტემბერს უნდა გაიმართოს.

## ჭადრაკი

**გუშინ** ბიჭვინთაში ნ. გაფრინდაშვილ — მ. ჩიბურდანიძის მატჩში მეათე პარტია გაიმართა. თეთრებით მსოფლიო ჩემპიონი თამაშობდა, მეტოქეებმა ესპანური პარტია გაითამაშეს. პარტია გადაიდო 42-ე სვლაზე. პრეტენდენტს ზედმეტი პაიკი აქვს. ამ პარტიის დამთავრება დღეს მოეწყობა.

მატჩის ანგარიშია 5,5:3,5 ჩიბურდანიძის სასარგებლოდ.

## ახალი მსოფლიო ჩემპიონი

**ავსტრიის** ქალაქ გრაცში დამთავრდა ჭაბუკთა შორის მსოფლიო პირველობა.

I ადგილი (10,5 ქულა) და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა მოსკოველმა ოსტატმა **სერგეი დოლმატოვმა**. მას მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი ა. იუსუპოვი (მოსკოვი). III ადგილზეა დანიელი ე. ფრიზა-ნილსენი.

დოლმატოვი მეექვსე საბჭოთა მოჭადრაკეა, რომელმაც ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, მანამდე ჩემპიონები იყვნენ ბ. სპასკი (1956 წ.), ა. კარპოვი (1969 წ.), ა. ბელიავსკი (1971 წ.), ვ. ჩეხოვი (1975 წ.), და ა. იუსუპოვი (1977 წ.). დოლმატოვს მიეკუთვნა საერთაშორისო ოსტატის წოდება.

## ჭადრაკის გვირგვინისთვის

გამოვიდა ქალთა მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილი — მ. ჩიბურდანიძის მატჩისადმი მიძღვნილი საქართველოს სპორტკომიტეტისა და რესპუბლიკური საჭადრაკო ფედერაციის ბიულეტენის მეორე ნომერი.

ბიულეტენი იხსნება წერილით ბიჭვინთიდან. მოთავსებულია მატჩის ორი დაწვრილებით კომენტირებული პარტია. მეორე პარტიას არჩევს საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, ოსტატი ა. ბუსლაევი, მესამეს — ოსტატი ა. ბოკუჩავა.




„ყველაზე კარგი შთაბეჭდილება“ — ასეთი სათაური აქვს ფიდე-ს პრეზიდენტის, პროფესორ მ. ეივეს ინტერვიუს, რომელიც ქალთა ჭადრაკის საკითხებს შეეხება.

პირველი სამი პარტიის შესახებ თავის აზრებსა და შთაბეჭდილებებს უზიარებს მკითხველებს მატჩის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელი, საერთაშორისო ოსტატი მ. იუდოვიჩი. ბიულეტენში არის აგრეთვე საქინფორმის კორესპონდენტის ა. დადიანის წერილი სსრ კავშირის სახალხო არტისტის ლამარა ჭყონიას, როგორც მოჭადრაკის შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბის დირექტორის რ. გრიგოლიას წერილი.

ბიულეტენში დასტამბულია კარპოვ — კორჩნოის მატჩის მეთვრამეტე პარტია და უცხოური ქრონიკა. ეს ნომერიც უხვადაა ილუსტრირებული.

## რეგბი

**კვირას** მოსკოვსა და კიევში გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მორიგი შეხვედრები. მოსკოვში, გათამაშების ლიდერი — სპორტკლუბ „ფილის“ გუნდი მასპინძლობდა სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე მყოფ „სლავას“. უაღრესად დაძაბული მატჩი მოიგო „ფილიმ“ — 7:3 და პოზიციები კიდევ უფრო განიმტკიცა.

კიევში ორი შეხვედრა ჩატარდა. ადგილობრივმა „ავიატორმა“ იოლად დაამარცხა მოსკოვის რკინიგზელთა კოლექტივი — 22:0.

აქვე გაიმართა თბილისის „ლოკომოტივისა“ და ადგილობრივი „პოლიტექნიკის“ მატჩი. თბილისელებმა კარგად ითამაშეს და გათამაშების ცხრილში მორიგი ორი ქულა ჩაიწერეს — 15:4.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 19 სექტემბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფილი“ | 13 | 8 | 2 | 3 | 112—111 | 18 |
| „ლოკ.“ თბ. | 13 | 7 | 3 | 3 | 180—127 | 17 |
| „ავიატორი“ | 13 | 7 | 3 | 3 | 175—105 | 17 |
| „სლავა“ | 13 | 7 | 1 | 5 | 191—113 | 15 |
| „ლოკ.“ მ. | 13 | 4 | 1 | 8 | 104—136 | 9 |
| „პოლიტექ.“ | 13 | 1 | 0 | 12 | 99—269 | 2 |



მილიონობით სპორტის მოყვარულმა ტელევიზიის საშუალებით საკუთარი თვალით ნახა ჩვენი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი სპორტსმენის, ზანგი მოკრივის მუჰამედ ალის ბოლო შეხვედრა პროფესიონალური კრივის უმაღლესი ტიტულისთვის ბრძოლაში. მისი მეტოქე, ასევე ამერიკელი ზანგი სპორტსმენი ლეონ სპინქსი, მიუხედავად დიდი წადილისა, იძულებული გახდა დაეთმო მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის სახელი: სამივე მსაჯმა გამარჯვება ერთხმად მიაკუთვნა მ. ალის. ამრიგად, მუჰამედ ალიმ პროფესიონალური კრივის ისტორიაში პირველმა შეძლო აქამდე შეუძლებელი — სამჯერ მოიხვეჭა პროფესიონალთა შორის მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდება.

**სურათზე: მ. ალისა და ლ. სპინქსის ორთაბრძოლის მომენტი.**

## ნაკრების შემადგენლობა

20 სექტემბერს ერევანში გაიმართება ევროპის მორიგი საფეხბურთო ჩემპიონატის ოფიციალური საერთაშორისო მატჩი სსრ კავშირისა და საბერძნეთის ნაკრებ გუნდებს შორის.

ჩვენი ქვეყნის ნაკრების მწვრთნელები არიან **ნ. სიმონიანი** და **ს. მოსიაგინი**. გუნდის შემადგენლობაში მათ მიიწვიეს: **მეკარეები** — ი. დეგტიარევი და ნ. გონტარი, **მცველები** — ს. პრივგოდა, ა. ბუბნოვი, ვ. ქუპიკოვი, ვ. გორბუნოვი, ა. მახოვიკოვი, **ნახევარმცველები** — ა. კონკოვი, ა. ბერეჟნოი, ლ. ბურიაკი, ვ. ბესონოვი, ვ. ხიდიატულინი, მ. ანი; **თავდამსხმელები** — ო. ბლოხინი, ი. ჩესნოკოვი, გ. იარცევი.

## ხუთი რგოლის ემბლემით

### ახალი აპარატურა

**სპორტულ-ტურისტული** ნაწარმის საკავშირო ინსტიტუტში („ვისტი“) მოსკოვის ოლიმპიადისთვის შექმნილია 28 სახელწოდების საინფორმაციო-სამსაჯო აპარატურა და სპორტული ინვენტარისა თუ ხელსაწყოთა 800-მდე სახეობა. ინსტიტუტის მრავალი ოლიმპიური ნაწარმი წარმოდგენილი იყო საერთაშორისო გამოფენებზე. წელს ისინი აჩვენეს 5 საერთაშორისო გამოფენაზე, ახლა კი ნაწარმს ამზადებენ კიდევ 3 დიდი გამოფენისთვის — კიოლნში, ბრატისლავასა და აშშ-ის რამდენიმე ქალაქში.

დიდ მოწონებას იმსახურებს ახალი აპარატურა ძალოსნობისთვის, რომელმაც მკაცრი გამოცდა გაიარა იუნიორთა ჩემპიონატზე ათენში, „პანონიას“ ტრადიციულ შეჯიბრებაზე ბუდაპეშტში და მოსკოვში გამართულ ტურნირზე „მეგობრობის პრიზი“. საინტერესოა, რომ ამავე ინსტიტუტის დოკუმენტაციით ლენინგრადის ქარხანა „სპორტში“ დამზადებული შტანგით მოსკოვის საერთაშორისო ტურნირზე მარტში მსოფლიოს რამდენიმე რეკორდი იქნა დამყარებული.

ქების ღირსია აგრეთვე ინსტიტუტის მიერ შექმნილი აპარატურა ტანვარჯიშისა და ჭიდაობისთვის (ძიუდო).

## გიდევეთ „რუსთაველი“

**„რუსთაველის“** კინოთეატრი, სადაც სულ ახლახანს ფიზკულტურელის დღისადმი მიძღვნილი სპორტული ფილმების ჩვენება მოეწყო, კვლავ ეპატიჟება სპორტის მოყვარულებს საინტერესო საღამოზე. იგი ეძღვნება სამამულო ფეხბურთის 80 წლისთავსა და თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უმაღლეს ლიგაში გამოსვლის მე-40 წლისთავს.

საღამო, რომლის ინიციატორია თბილისის სპორტკომიტეტის სპორტის პროპაგანდის ფედერაცია, გაიმართება 20 სექტემბერს, 19 საათსა და 30 წუთზე. მასში მონაწილეობას მიიღებენ ტყავის ბურთის ცნობილი ოსტატები — მასპინძლები და სტუმრები მოსკოვიდან, კიევიდან, ერევნიდან, თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრები.

საღამოზე ნაჩვენები იქნება ფეხბურთისადმი მიძღვნილი დოკუმენტური და მხატვრული ფილმები.

## კოლექტივების თასზე

ფიზიკური კულტურის კოლექტივების ფეხბურთელთა 60 ათასი გუნდი ჩაება საკავშირო თასის წლევანდელ გათამაშებაში.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი — ჭიათურის „მადნეული“ კალუგაში შეხვდა ადგილობრივ „ზარიას“ და მარცხი განიცადა ანგარიშით 0:4.

## ლეგენდარული მეკარის ხსოვნას

ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის II ტურის ყველა მატჩს წინ უძღოდა ოფიციალური სამგლოვიარო ცერემონიალი ლეგენდარული ესპანელი მეკარის რიკარდო ზამორას საპატივცემლოდ, რომელიც გარდაიცვალა 77 წლის ასაკში. ყველა ფეხბურთელს შავი ნაჭრის სახვევი ჰქონდა გაკეთებული მარცხენა მკლავზე.

## ფეხბურთი

## ჩემპიონატები, თასები, ტურნირები

### უნგრეთი

III ტურის მნიშვნელოვანი შეხვედრა ბუდაპეშტის გუნდებს — მტკ-სა და „ვაშაშ“ შორის დასრულდა მტკ-ს გამარჯვებით — 3:1. კვლავინდებურად წარუმატებლად თამაშობს ჩემპიონი — „დოკაუიპეშტი“ (ბუდაპეშტი), რომელმაც სასტიკი მარცხი იგემა „ჰონვედთან“ (ბუდაპეშტი) შეხვედრაში — 1:4.

3 ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმი (6) მოაგროვა „ჰონვედმა“. მას თითო ქულით ჩამორჩებიან „ფერენცვაროში“ (ბუდაპეშტი) და „ვიდეოტონი“ (შეკეშფეჰერვარი).

### ბულგარეთი

IV ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია სოფიის გუნდების „სლავიასა“ და „ლევსკი-სპარტაკის“ შეხვედრამ. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა „სლავიამ“. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, აგრეთვე, სოფიის „ლოკომოტივის“ მატჩს ამავე ქალაქის ცნობილ კლუბ ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამესთან“. გამარჯვება ლოკომოტიველებს დარჩათ — 2:1.

4 ტურის შემდეგ 7 ქულით წინ არის „სლავია“. 6-6 ქულა მოაგროვეს „ლოკომოტივმა“, „აკადემიკმა“ (ორივე — სოფია) და „ტრაკიამ“ (პლოვდივი).

### რუმინეთი

3 ტურის შემდეგ 3 გუნდს არ დაუკარგავს არც ერთი ქულა. ესენია: „სტიაუა“ (ბუქარესტი), „ფკ ბაია მარე“ და პიტეშტის „არგეში“. ჯერჯერობით ერთობ უფერულად თამაშობს რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი ბუქარესტის „დინამო“. მან 2 შეხვედრა წააგო და 1 ფრედ დაამთავრა.

### ჩეხოსლოვაკია

IV ტურმა პირველი დამარცხება მოუტანა ლიდერს — პრაღის „დუკლას“, რომელიც აქამდე ქულების დაუკარგავად მიდიოდა. ლიდერმა წააგო ბრატისლავაში „ინტერთან“ — 0:2, მაგრამ 6 ქულით მაინც შეინარჩუნა პირველი ადგილი. მას თითო ქულით ჩამორჩება 5 გუნდი: ბანსკა-ბისტრიცას „დუკლა“, ტრნავის „სპარტაკი“, ბრატისლავის „ინტერი“, პრეშოვის „ტატრანი“ და კოშიცეს ვსს.

### იუგოსლავია

V ტურის ცენტრალური მატჩი გაიმართა ბელგრადში, სადაც „პარტიზანმა“ მიიღო ზაგრების „დინამო“. სტუმრები ორჯერ იყვნენ წინ (2:1 და 3:2), მაგრამ მატჩის ბოლო წუთზე ჩემპიონმა მაინც მიაღწია ფრეს — 3:3. ბელგრადელთაგან 2 ბურთი გაიტანა ცნობილმა თავდამსხმელმა სანტრაჩმა, რომელსაც იუგოსლავიის ჩემპიონატში 202 გოლით სნაიპერთა მუდმივ სიაში პირველი ადგილი უჭირავს.

ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ“ მიიღო პირველ ლიგაში დაბრუნებული სარაევოს „ჟელეზნიჩარი“ და გაიმარჯვა ანგარიშით 5:2. 4 ბურთი ცენტრალურმა თავდამსხმელმა სავიჩმა გაიტანა.

5 ტურის შემდეგ „ცრვენა ზვეზდას“ 8 ქულა აქვს, „ფკ სარაევოს“, „რიეკასა“ და ტიტოგრადის „ბუდუჩნოსტს“ — 7-7 ქულა.

### ავსტრია

3 ტურის შემდეგ 6 ქულით კვლავინდებურად პირველ ადგილზეა „ვოესტი“ (ლინცი). საყურადღებოა, რომ ჩემპიონი — ვენის „აუსტრია“ 1 ქულით ჯერჯერობით ბოლოსწინა, IX ადგილზე იმყოფება.

### ბელგია

2 ტურის შემდეგ 4 ქულით დაწინაურდა „ბერინგენი“, „ანდერლეხტი“ II ტურში სტუმრად დამარცხდა „ლოკერენთან“ (1:2) და ახლა 2 ქულა აქვს. მარცხიანად აიღო სტარტი ჩემპიონმა — „ბრიუგემ“. პირველ ტურში ფრეს შემდეგ იგი სტუმრად დამარცხდა ლიეჟის „სტანდარდთან“.

## რევოლუციას მიეძღვნა

**ტრიპოლი**, 18 სექტემბერი. ლიბიის დედაქალაქის ცენტრალურ სპორტდარბაზში გაიხსნა საერთაშორისო სპორტული ფესტივალი, რომელიც მიეძღვნა რევოლუციის გამარჯვების მე-9 წლისთავს.

ლიბიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ ორგანიზებულ ამ შეჯიბრებაში მონაწილეობენ ალჟირის, ტუნისის, სირიის, იტალიის, ბულგარეთის, საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენები.

როგორც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მისალმებაშია აღნიშნული, ფესტივალმა ხელი უნდა შეუწყოს ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას, ოლიმპიური მოძრაობის იდეათა შემდგომ გავრცელებას.

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 10185